ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – გ. ჩ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.04.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 032/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. გ.-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 21 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ჩ.-მ, რომელმაც მოითხოვა ადვოკატ ნ. გ.-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და მისთვის გადაცემული საადვოკატო მომსახურების ჰონორარის დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2016 წლის 18 მაისს იგი მოყვა ავტოავარიაში. 2016 წლის 20 ივლისს საჩივრის ავტორის დედამ ნ. ხ.-მ მიმართა ადვოკატ ნ. გ.-ს გ. ჩ.-ს ინტერესების დასაცავად, რისთვისაც ადვოკატს გადაუხადა 1350 (ათას სამას ორმოცდაათი ლარი).

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 04 მარტს იყო ჩანიშნული სასამართლო პროცესი მის საქმეზე, რომელზეც ადვოკატი არ გამოცხადდა და მოსამართლემ სასამართლო სხდომა იმავე წლის 07 მარტისთვის გადადო. ადვოკატი ორი დღის განმავლობაში არ დაკავშირებია კლიენტს და არ შეუტყობინებია სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზი. 2017 წლის 07 მარტს ადვოკატი ნ. გ. კვლავ არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, რის შემდეგაც

მოსამართლემ გ. ჩ.-ს საზოგადოებრივი ადვოკატი დაუნიშნა, ხოლო ადვოკატი ნ. გ. დააჯარიმა 100 (ასი) ლარით.

1.4 საჩივრის ავტორის თქმით, 2017 წლის 24 მარტს სასამართლომ მას შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 14 წლით. საჩივრის ავტორს სურს თავისი უფლებების დაცვა განაგრძოს სააპელაციო სასამართლოში, რისთვისაც სჭირდება ადვოკატის დახმარება. საჩივრის ავტორი ადვოკატ ნ. გ.-გან ითხოვს, რომ მან განაგრძოს კლიენტის დაცვა სააპელაციო სასამართლოში ან დაუბრუნოს მისთვის გადაცემული საადვოკატო მომსახურების ჰონორარი, რათა საჩივრის ავტორს მიეცეს ახალი ადვოკატის დაქირავების საშუალება.

2. მოწმე ნ. ჩ.-ს პოზიცია:

2.1 ნ. ჩ. არის საჩივრის ავტორის გ. ჩ.-ს დედა, რომელიც შეუთანხმდა ადვოკატ ნ. გ.-ს, რომ მას დაეცვა გ. ჩ.-ს ინტერესები გორის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე, რისთვისაც ორდერით გათვალისწინებული თანხა 500 (ხუთასი) ლარი გადასცა. იმავე დღეს ადვოკატს გადასცა სამგზავრო თანხაც 100 (ასი) ლარის ოდენობით და შეუთანხმდა, რომ ამ თანხით ადვოკატი ორჯერ წავიდოდა მარტვილიდან ქალაქ გორში მიმდინარე პროცესზე. ასევე ნ.ჩ. და ადვოკატი ნ. გ. შეთანხმდნენ, რომ შემდგომში, სასამართლო პროცესზე წასვლის შესახებ ადვოკატი წინასწარ აცნობებდა ნ. გ.-ს, რომელიც გადაუხდიდა სამგზავრო ხარჯების სახით ყოველ წასვლაზე 50 (ორმოცდაათი) ლარს. ნ. ჩ.-მ ადვოკატს ჯამში გადაუხადა 1350 (ათას სამას ორმოცდაათი ლარი) ლარი.

2.2 მოწმის განცხადებით, ადვოკატი სასამართლო პროცესზე ყოველი წასვლის წინ ატყობინებდა მას სამგზავრო ხარჯების თაობაზე და ნ. ჩ. წინასწარ აძლევდა აღნიშნულ თანხას.

2.3 მოწმის განმარტებით, 2017 წლის 06 მარტს სასამართლო პროცესზე წასასვლელი სამგზავრო თანხა ვერ გადაუხადა ადვოკატს, ვინაიდან ნ. ჩ. არის სოციალურად დაუცველი და იმ მომენტისთვის ხელთ არ ჰქონდა ადვოკატისთვის გადასაცემი სამგზავრო თანხა - 50 (ორმოცდაათი) ლარი. ნ. ჩ.-მ ადვოკატს სთხოვა, რომ ამჯერად რამენაირად თავისი ხარჯით წასულიყო სასამართლო პროცესზე და შემდეგ აუნაზღაურებდა ტრანსპორტირების ხარჯებს, მაგრამ ადვოკატმა მას უარი უთხრა სასამართლო პროცესზე წასვლაზე და შემდეგ გაუთიშა ტელეფონი.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 2017 წლის 19 ივნისს ადვოკატმა ნ. გ.-მ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წერილობით წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, 2016 წლის სექტემბრის თვეში მასთან მივიდა მსჯავრდებული გ. ჩ.-ს დედა ნ. ჩ. და უთხრა, რომ მის შვილს ნარკოტიკების შენახვის გამო ჰქონდა პირობითი მსჯავრი და პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში ავტომობილის მართვის გამო იყო დაკავებული. გ. ჩ.-ს პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად სჭირდებოდა ადვოკატის დახმარება. ადვოკატმა ნ. გ.-მ გ. ჩ.-ს ინტერესების დასაცავად საადვოკატო მომსახურების შესახებ ზეპირი ხელშეკრულება 2016 წლის ოქტომბრის დასაწყისში ქალაქ მარტვილში დადო გ. ჩ.-ს

დედასთან ნ. ჩ.-თან. ადვოკატის ანაზღაურება მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა 500 (ხუთასი) ლარით. ვინაიდან სასამართლო სხდომები იმართებოდა გორის რაიონულ სასამართლოში, ადვოკატი შეუთანხმდა ნ. ჩ.-ს ადვოკატის სამგზავრო ხარჯების ცალკე ანაზღაურებაზე, რაც ყოველ სასამართლო პროცესზე ან ბრალდებულთან შეხვედრაზე მისვლაზე 50 (ორმოცდაათი) ლარი უნდა ყოფილიყო, თუმცა ნ. ჩ. ადვოკატს უხდიდა 50 (ორმოცდაათი), 40 (ორმოცი), 25 (ოცდახუთი) ლარს და ადვოკატი ან ამატებდა საკუთარ თანხას მგზავრობის ხარჯებს ან გადმოცემულ თანხას იმყოფინებდა. ერთ-ერთი ვიზიტისას კლიენტის დედამ აცნობა ადვოკატს, რომ გ. ჩ. ასევე ბრალდებული იყო ავტოავარიის საქმეზე და ადვოკატი ამ საქმეშიც უნდა ჩართულიყო, რაზეც ადვოკატმა თანხმობა განაცხადა. ავტოავარია მოხდა კასპში და შესაბამისად სასამართლო პროცესები ტარდებოდა ქალაქ გორის რაიონულ სასამართლოში ხოლო თავად მსჯავრდებული იმყოფებოდა გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

3.2 ნ. გ.-ს განმარტებით, იგი გ. ჩ.-ს საქმეში ჩაერთო, როგორც მისი ადვოკატი, 2016 წლის 04 ოქტომბერს. გ. ჩ.-ს ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381 მუხლის პირველი ნაწილით, 276-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა 12-მდე სასამართლო სხდომა. ადვოკატს უწევდა ჩასვლა როგორც ქალაქ გორში სასამართლოს სხდომებზე, ისე ქალაქ თბილისში კლიენტის სანახავად. მგზავრობის ხარჯებს კლიენტის დედა ანაზღაურებდა, თუმცა ადვოკატს სამჯერ მოუწია მგზავრობის ხარჯების თავად გადახდა.

3.3 ადვოკატის განმარტებით, საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად საჭირო იყო დაზარალებული მხარის თანხმობა, რისთვისაც ადვოკატი ჩავიდა კასპში დაზარალებულ მხარესთან მოსალაპარაკებლად, თუმცა კატეგორიული უარი მიიღო მათგან. აღნიშნულის შესახებ ადვოკატმა შეატყობინა კლიენტს. რადგან ვერ მოხერხდა საპროცესო შეთანხების მიღწევა, კლიენტის ნათესავები გაბრაზდნენ და ადვოკატს აღარ აძლევდნენ ნორმალურად მუშაობის საშუალებას თავიანთი საყვედურებით და მინიშნებებით. ადვოკატმა ვერ გაუძლო ამას და 2017 წლის იანვარში აპირებდა დაეყენებინა საკითხი თვითაცილებაზე, მაგრამ თავად გ. ჩ.-მ სთხოვა გაეგრძელებინა მისი დაცვა, რაზეც ადვოკატი დათანხმდა.

3.4 ადვოკატის განმარტებით, 2017 წლის 04 მარტს ვერ წავიდა სასამართლო სხდომაზე უსახსრობის გამო. ადვოკატმა აცნობა კლიენტის დედას, რომ ვერ მიდიოდა სასამართლო პროცესზე უსახსრობის გამო, რაზეც კლიენტის დედამ უპასუხა: "რაც გინდა ის ქენი, ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვა და როგორც გინდა ისე მოიქეციო". სასამართლოს პროცესზე საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობის გამო სასამართლომ ადვოკატი დააჯარიმა 100 (ასი) ლარით.

3.5 ადვოკატის განცხადებით, მან ყველაფერი გააკეთა კლიენტის ინტერესების დასაცავად და შემდეგშიც განაგძობდა მის დაცვას, მაგრამ ამჟამად ეს შეუძლებელია, რადგან კლიენტის დედა მას მუდმივად აყენებს შეურაცხყოფას.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ნ. გ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

4.2 გ. ჩ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 21 აპრილს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლის მარტში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ნ. გ. 2017 წლის 04 მარტს ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა და მოსამართლემ პროცესი იმავე წლის 07 მარტისთვის გადადო. 2017 წლის 07 მარტს ადვოკატი ნ. გ. კვლავ არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, რის შემდეგაც მოსამართლემ გ. ჩ.-ს საზოგადოებრივი ადვოკატი დაუნიშნა, ხოლო ადვოკატი ნ. გ. დააჯარიმა 100 (ასი) ლარით. ადვოკატმა შეწყვიტა კლიენტის მომსახურება.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილი: „ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე წინამდებარე თავის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით."

5.3 ადვოკატი კლიენტთან ურთიერთობას იწყებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სწორედ ურთიერთშეთანხმება არის საფუძველი ორმხრივად გამოვლენილი ნებისა ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების გაწევის და ამ მომსახურებისთვის ანაზღაურების გადახდის შესახებ. ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა კლიენტი მისთვის გასაგები ფორმით ინფორმირებული ყავდეს როგორც ჰონორარის ოდენობისა და გამოთვლის წესის, ასევე საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ. ჰონორარის ადვოკატისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში ეთიკურად ითვლება ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმა იმ დათქმის გათვალისწინებით, რომ კლიენტი ადვოკატმა არ უნდა დატოვოს უძლურ

მდგომარეობაში, როდესაც იგი მოკლებულია შესაძლებლობას დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილი ფართოდ უნდა განიმარტოს და საქმეზე უარის თქმის უფლება ადვოკატისთვის ჰონორარის გადაუხდელობის გარდა, უნდა გავრცელდეს საქმის წარმოების ხარჯების გადაუხდელობის შემთხვევაზეც, თუ ადვოკატს კლიენტი წინასწარ ჰყავდა ინფორმირებული მოცემული ხარჯების გადახდის შესახებ.

5.4 საპროცესო ეტაპზე საქმის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება 2016 წლის სექტემბრის თვეში ქალაქ მარტვილში ზეპირი სახით დადო საჩივრის ავტორის დედასთან ნ. ჩ.-თან. ხელშეკრულების მიხედვით, ადვოკატს უნდა დაეცვა გ. ჩ.-ს ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე გორის რაიონულ სასამართლოში. საჩივრის ავტორმა გამოხატა პრეტენზია იმის გამო, რომ ადვოკატი ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, რის გამოც სასამართლო სხდომა გადაიდო, ხოლო მომდევნო სხდომაზე ადვოკატი კვლავ არ გამოცხადდა და საჩივრის ავტორს მოსამართლემ დაუნიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი. აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატმა განმარტა, რომ ადვოკატის სქმიანობის ადგილი ქალაქი მარტვილი იყო, ხოლო გ. ჩ.-ს საქმეზე სასამართლო პროცესები იმართებოდა გორის რაიონულ სასამართოლში, ამიტომ სამგზავრო ხარჯებზე ადვოკატი შეთანხმებული იყო კლიენტის დედასთან ნ. ჩ.-თან. ადვოკატმა ბოლო სასამართლო პროცესზე წასვლა ვერ შეძლო, რადგან ნ. ჩ.-მ შეთანხმებული სამგზავრო ხარჯი ვერ გადასცა.

5.5 იმის დასადგენად, იყო თუ არა საადვოკატო მომსახურების ხარჯების საკითხი წინასწარ შეთანხმებული ადვოკატსა და ნ. ჩ.-ს შორის და ჰქონდა თუ არა ადვოკატს 2017 წლის 07 მარტის სასამართლო სხდომაზე წასასვლელი თანხა გადაცემული, ეთიკის კომისიამ შეკითხვებით მიმართა საჩივრის ავტორის დედას ნ. ჩ.-ს. წერილობით პასუხში ნ. ჩ.-მ განმარტა, რომ ადვოკატს საადვოკატო მომსახურების საფასურის სახით გადასცა 500 (ხუთასი) ლარი და ასევე შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების შესახებ, კერძოდ: ნ. ჩ.-ს ადვოკატისთვის გორის რაიონულ სასამართლოში გასამგზავრებლად ყოველ ჯერზე უნდა გადაეცა 50 (ორმოცდაათი) ლარი. ნ. ჩ.-მ ასევ განმარტა, რომ 2017 წლის 07 მარტს ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე გასამგზავრებლად ადვოკატს შეთანხმებული თანხა ვერ გადასცა.

5.6 საპროცესო კოლეგიამ შეადარა მხარეთა პოზიციები ადვოკატისთვის გადახდილი/გადაუხდელი ან გადასახდელი თანხების ირგვლივ და დაადგინა, რომ ადვოკატს საჩივრის ავტორის დედამ, ხელშეკრულების მხარემ, არ გადაუხადა სასამართლო სხდომაზე მისასვლელი და საადვოკატო საქმიანობისათვის გადასახდელი ხარჯი. ადვოკატმა განუმარტა საპროცესო კოლეგიას, რომ მას არ გააჩნდა ფულადი სახსრები გორის რაიონულ სასამართლოში დანიშნულ ბოლო სხდომაზე გასამგზავრებლად, საჩივრის ავტორის დედამ ნ. ჩ.-მ ასევე დაადასტურა, რომ მას ადვოკატისთვის არ გადაუცია შეთანხმებული თანხა 2017 წლის 07 მარტს ჩანიშნულ სასამართლო სხდომაზე წასასვლელად. შესაბამისად, საპროცესო

კოლეგია არაეთიკურად ვერ მიჩნევს ადვოკატის მიერ 2017 წლის 07 მარტს გამართულ სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობას.

5.7 საჩივრის ავტორი ადვოკატ ნ. გ.-გან ითხოვს, რომ მან განაგრძოს კლიენტის დაცვა სააპელაციო სასამართლოში ან დაუბრუნოს მისთვის გადაცემული საადვოკატო მომსახურების ჰონორარი, რათა საჩივრის ავტორს მიეცეს ახალი ადვოკატის დაქირავების საშუალება.

5.8 საჩივრის ავტორის აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაბამისად: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

5.9 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს.

5.10 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს ეგრეთწოდებული „დამსახურებული/გამომუშავებული საზღაური“ რომელიც გონივრულობით ფასდება ადვოკატის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებების რაოდენობით, ხარისხით და სტრატეგიით. საპროცესო კოლეგიამ გამოითხოვა გ. ჩ.-ს სისხლის სამართლის საქმის მასალები თბილისის სააპელაციო სასამართლოდან და ასევე N8 პენიტენციური დაწესებულებებიდან ადვოკატ ნ. გ.-ს და გ. ჩ.-ს შეხვედრების თაობაზე ინფორმაცია, საიდანაც დგინდება, რომ ადვოკატს მისი კლიენტის ინტერესებისათვის არაერთი იურიდიული სახის მოქმედება აქვს განხორციელებული, კერძოდ: ადვოკატი ესწრებოდა გ. ჩ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე გამართულ სასამართლო სხდომას 2016 წლის 11 ოქტომბერს, 2016 წლის 18 ოქტომბერს, 2016 წლის 24 ოქტომბერს, 2016 წლის 10 ნოემბერს, 2016 წლის 02 დეკემბერს, 2017 წლის 10 იანვარს, 2017 წლის 03 თებერვალს, 2017 წლის 13 თებერვალს და 2017 წლის 24 თებერვალს. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა ნ. გ.-მ მოანწილეობა მიიღო მისი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ სასამართლო სხდომებში, სადაც დასტურდება ადვოკატის არა მხოლოდ მონაწილეობის ფაქტი, არამედ მის მიერ კონკრეტულად განხორციელებული იურიდიული მოქმედება. მაგ: შუამდგომლობა გაძევებული კლიენტის სასამართლო

პროცესში ჩართვის, შესრულებულია მოწინააღმდეგე ანუ ბრალდების მხარის მოწმეთა დაკითხვა და სხვა. ასევე აღსანიშნავია, რომ ადვოკატი კლიენტის მოსანახულებლად N8 პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა 2016 წლის 05 ოქტომბერს, 2016 წლის 19 ოქტომბერს, 2016 წლის 31 ოქტომბერს, 2017 წლის 07 თებერვალს, 2017 წლის 20 თებერვალს. აღნიშნული წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობას და მიმართულია კლიენტის სასარგებლოდ. ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ ასევე განხორციელებულია კლიენტის თხოვნით ბრალდების მხარესთან საპროცესო შეთანხმების პროცესის წამოწყებისათვის განცხადების მომზადება, რაც ასევე წარმოადგენს იურიდიულ მოქმედებას, ანუ იმ საქმიანობის სახეს რაც ადვოკატს პროფესიულად ევალება. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა მისთვის გადაცემული ჰონორარი სამართლიანად გამოიმუშავა.

5.11 საჩივრის ავტორის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა განაგრძოს მისი ინტერესების დაცვა სააპელაციო სასამართლოში, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების საფუძველი არის ამის შესახებ გამოვლენილი თავისუფალი ორმხრივი ნება. საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან დგინდება, რომ ადვოკატთან შეთანხმების საგანი იყო კლიენტის ინტერესების დაცვა პირველი ინსტანციის გორის რაიონულ სასამართლოში. ადვოკატმა კვალიფიციურად დაიცვა კლიენტის ინტერესები. საქმის მასალებიდან არ დასტურდება, რომ არსებობდა შეთანხმება კლიენტსა და ადვოკატს შორის ან ადვოკატს ჰქონდა გამოხატული ნება კლიენტის ინტერესების სააპელაციო სასამართლოში დაცვის შესახებ. შესაბამისად, ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვა სააპელაციო სასამართლოში დამოკიდებულია ადვოკატის ნებასა და მხარეთა შეთანხმებაზე, შესაბამისად ეთიკის კომისია ვერ დაავალდებულებს ადვოკატს დაიცვას პირის ინტერესები სააპელაციო სასამართლოში.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-9 და მე-15 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №032/17 ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/